**ქალაქ თბილისის საკრებულოს**
**სატრანსპორტო საკითხთა კომისიის**
**სხდომის ოქმი №58**

19.02.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. თედო ისაკაძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი.

**სხდომის დღის წესრიგი:**

- ინფორმაციის მოსმენა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიმდინარე და სამომავლო საქმიანობის შესახებ.

**მომხსენებელი - შალვა ოგბაიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

**შ.ოგბაიძე** - მოგესალმებით, მინდა მოგაწოდოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი კომისია გეგმავს იმ პრობლემების აღრიცხვას, რომლებიც თავს იჩენენ დედაქალაქის მაცხოვრებლების საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებისას.

როგორც მოგეხსენებათ, ინფორმაცია დედაქალაქში მცხოვრებ მოქალაქეთა სამგზავრო საჭიროებების შესახებ თავს იყრის ძირითადად საკრებულოს წევრებთან, განსაკუთრებით კი მაჟორიტარ დეპუტატებთან, სწორედ ამიტომ, მათგან მივიღებთ ინფორმაციას, მაგალითად, იმ მარშრუტების შესახებ, რომლებიც მოითხოვენ კორექციას ან ვერ უზრუნველყოფენ მგზავრთა დროულ და კომფორტულ მომსახურებას სხვადასხვა მიზეზით. ამის შემდეგ, დავგეგმავთ შეხვედრას მერიის სსიპ ,,ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან“.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება და ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ დედაქალაქის მაცხოვრებლების ხარისხიან, მოქნილ და კომფორტულ გადაადგილებაში ხელშეწყობას.

ასევე, მინდა გაცნობოთ, რომ კომისია აქტიურად განიხილავს მოქალაქეების მხრიდან შემოსულ განცხადებებს, მათი შესწავლა და საკითხის ადგილზე გაცნობა ოპერატიულად ხდება. მოქალაქეთა მხრიდან შემოსულ განცხადებებზე, შესაბამისი შუამდგომლობების გაგზავნა და განმცხადებლების ინფორმირება უმოკლეს დროში ხორციელდება.

ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ვახორციელებთ სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სატრანსპორტო/საგზაო პრობლემები, ჩვენი მიმართვის საფუძველზე, აღირიცხება მერიის და გამგეობის შესაბამისი სამსახურების მიერ და იგეგმება მათი მოგვარების გზები.

აქვე, მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია, სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, დედაქალაქში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ:

ამორტიზებული ყვითელი ავტობუსების სრულად ჩანაცვლების პროექტის ფარგლებში, შესყიდულია შესაბამისი რაოდენობის ახალი, 8, 10, და 12 მეტრიანი ავტობუსები, იგეგმება 18 მეტრიანი ავტობუსების შეძენაც.

მიკროავტობუსების ქსელის განახლების პროექტის ფარგლებში, დედაქალაქის მერიამ შეიძინა 300 ერთეული ახალი, ლურჯი ფერის მიკროავტობუსი. თბილისის მიკროავტობუსების კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები დამატებითი მიკროავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ სრულად მოხდეს ყვითელი მიკროავტობუსების ჩანაცვლება.

ზონალურ-საათობრივი პარკირების პროექტის ფარგლებში, ქალაქის მასშტაბით მომდევნო თვეების განმავლობაში ახალი რაიონებისა და კონკრეტული ქუჩების დამატება იგეგმება.

რაც შეეხება მეტროს, მიმდინარეობს მეტროსადგურების რეაბილიტაცია, ახალი ვაგონების შესყიდვა, შუალედური ვაგონების კაპიტალური შეკეთება - მოდერნიზაცია, არსებული მოძრავი შემადგენლობების განახლების პროცესი. მეტრო დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი ტრანსპორტია, რომელსაც დღეში 450 ათასამდე მგზავრი გადაჰყავს, იგი სწარფი და უსაფრთხო გადაადგილების საშუალებაა.

მინდა შევეხო კიდევ ერთ მნიშნელოვან საკითხს, როგორც მოგეხსენებათ, ფრანგულმა საკონსულტაციო კომპანია „სისტრამ“ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების ერთ-ერთ მთავარ დოკუმენტზე მუშაობა დაასრულა. დოკუმენტი შვიდი ანგარიშისაგან შედგება, ითვალისწინებს ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მარშრუტების შესწავლასა და ხელახლა დაგეგმვას, გათვალისწინებულია მეტროპოლიტენის მუშაობის სპეციფიკაც.

კვლევა  დედაქალაქს ეხმარება საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლებული ქსელის და სატარიფო სისტემის შემუშავებასა და მიღებაში, ოპერაციული ეფექტიანობის, ბილეთების სისტემის სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფაში.

ძალიან მნიშვნელოვანია, უახლოეს მომავალში საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ერთი გადახდის საფუძველზე მგზავრობას მეტროთი, ავტობუსითა და მიკროავტობუსით.

განახლებული, ეკოლოგიურად სუფთა და გაზრდილი ავტობუსებისა და მიკროავტობუსების პარკი, ინტეგრირებული გადახდის სისტემა, მგზავრთა გადაყვანის ახალი ქსელი ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციას.

სულ ეს იყო რისი თქმაც მინდოდა ამ ეტაპზე. მზად ვარ მოვისმინო თქვენი მოსაზრებები და წინადადებები.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს მიღებული ინფორმაცია.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე